



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№44 (9.609)

16-23 ნოემბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

რატომ ჭიანჭურღებთ ელექტროგადამცემი ბოძების უცვლელად?



დედოფლისწყაროს მოსახლეობისთვის კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ელექტროენერჯის მიწოდების 24-საათიანი გრაფიკი. ხალხი ხშირად საფუძვლიანად წუწუნებს, რომ სუსტი სიოს პირობებშიც კი შეიძლება უშუქოდ დარჩეს. რატომ ითიშება ასე ხშირად ელექტროენერჯია და რა საშუალებები გასწია ენერგოდისტრიბუციის ხელმძღვანელობამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, ამის შესახებ **კახეთის ენერგოდისტრიბუციის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერი ივანე ბიბოლაშვილი** გვესაუბრება:

რამდენიმე თვეა, დედოფლისწყაროში მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ბოძების გამოცვლის პროცესი დაიწყო. ბოძები უკვე შემოტანილია და ქალაქ დედოფლისწყაროში, სოფლებში: ხორნაბუჯსა და სამრეკლოს დიდ ნაწილში ძველი ელექტროგადამცემი ბოძები ახალმა უკვე ჩაანაცვლა, თუმცა, ჯერ პრობლემას წარმოადგენს ელექტროგადამცემი ხაზების შეცვლა-ამბობს ივანე გიგოლაშვილი და უზრუნველყოფის ერთად გასვლით „რეიდს“ აწყობს. მისი თანხლებით სოფელ სამრეკლოში იმ უბანზე მივდივართ, სადაც ახალ ბოძებთან ერთად ელექტროგადამცემი ხაზებიც გამოცვლილია. ელექტრომომარაგების ახალი სისტემა, თვალის ერთი შეველებითაც ჩანს, რომ წინასწარ სჯობია - ელექტროგადამცემი ხაზები, ე.წ. „დახურული კაბელები“ კარგადაა დაცული და, როგორც სპეციალისტები გვიხსნიან, ეს გაცილებით უსაფრთხოა თავისი წინამორბედისგან განსხვავებით. რამდენიმე დღის წინ რამდენიმე საათის მანძილზე ქალაქ დედოფლისწყაროს ნაწილი უშუქოდ დარჩა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ელექტროგადამცემი ხაზის ავარიის შედეგად ცეცხლი ძველ, ამორტივებულ ხის ბოძს მოედო და... ქალაქის ნაწილი დენის გარეშე დატოვა. მოგეხსენებათ, აღდგენით სამუშაოებს გარკვეული დრო სჭირდება. ამ სისტემის სრულად მოწესრიგების შემდეგ მოსახლეობას ეს პრობლემები თითქმის აღარ შეაწყობს. როგორც ენერგოდისტრიბუციის აცხადებენ, სისტემის მოწესრიგებას რამდენიმე მიზეზი აქიანურებს. „ახალი ელექტროგადამცემი ხაზები გამოცვლილ ბოძებზე რომ გადავიტანოთ, ამისთვის დენის რამდენიმე საათიანი გათიშვაა საჭირო, ეს კი ადგილობრივი საწარმოების გაჩერებას და ინფრასტრუქტურული სამუშაოების შეფერხებას გამოიწვევს“-აცხადებს ივანე გიგოლაშვილი.

მოსახლეობასთან ერთად ელექტროენერჯის გამორთვის აპროტესტებენ მცირე მენარმეებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ დენის ხშირი გათიშვის გამო ფინანსურად ზარალდებიან. ენერგოდისტრიბუციის ხელმძღვანელობა მათ ამ შენიშვნას უსაფუძვლოს უწოდებს და აღნიშნავს, რომ მენარმეს დამოუკიდებელი დენის წყარო უნდა ჰქონდეს, რათა საკუთარი პროდუქცია დაიცვას და მოსალოდნელი ზარალიც თავიდან აიცილოს.

დედოფლისწყაროს ენერგოდისტრიბუციის ხელმძღვანელობა თხოვნით მიმართავს მოსახლეობას, გაგებით მოეკიდნენ ელექტროენერჯის გათიშვის ფაქტებს, რადგან ეს ხან ობიექტური მიზეზებითაა გამოწვეული, ხან კი აუცილებლობით. გაცილებით უსაფრთხო და განათებული ზამთარი რომ გვექონდეს, ამისთვის დროებით კვლავ უნდა ავიტანოთ ელექტროენერჯის გეგმიური თუ ავარიული გამორთვა.

ინგა შიოლაშვილი

„ფიზიკურად საბერძნეთში ვარ, მაგრამ სულიერად მხოლოდ ჩემს სამშობლოში“...

საქართველოდან წასული უამრავი ადამიანი საზღვარგარეთ, სხვის ოჯახებში ცხოვრობს. ისინი მუშაობენ და ასე არჩენენ საქართველოში დარჩენილ ახლობლებს, უცხოეთში კი ნოსტალგიის ტკივილთან ერთად თავიანთ პატარა საქართველოსაც დაატარებენ. დოღო გორელაშვილი ერთ-ერთია იმ ადამიანებს შორის, ვისაც ბედისწერამ საზღვარგარეთ ცხოვრება არგუნა. ის სამშობლოს მონატრების განცდას ფურცელს ანდობს და ლექსებად იღვრება სტრიქონები მშობლიურ

სოფელზე, დედაზე, საქართველოს ბედზე... „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის“ უძველესი დროიდან დღემდე... ალბათ დაალობს ჩვენი სამშობლოს დაჩეხილ სხეულს ქართველი ემიგრანტების შორეული ცრემლი... ისევ ძუძუმკოვეთილი ამორძალივით დგას საქართველო, უაფხაზეთოდ და უსამაჩაბლოდ, უჩვენოდ! ისევ შესწუხრებებს ცაში ღმერთს მოძმეთა სისხლი და სა-

მრთალს ითხოვს, მაგრამ... „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“... არავინ გვეძახის სამშობლოდან, თითო-ორი კეთილი ადამიანის გარდა. ეს ძახილი ზღვაში კი არა, ოკეანეში წვეთია. ჩვენი ცხოვრებაც წვეთ-წვეთად ილევს. ნოსტალგია, მონატრება, უსიხარულობა, უსიყვარულობა გვიხრავს გულს, სიცოცხლეს გვიმოკლებს უცხოეთში. ტკივილი ლექსს ბადებს

ხშირად. „წერს დოღო გორელაშვილის წიგნის „მე უშენობა გამიჭირდება“ წინასიტყვაობაში მისი რედაქტორი ანა ყურმაიშვილი, რომელიც თავადაც ამ ტკივილის მატარებელია და საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთ „ელადის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. სწორედ მისი ინიციატივით დაარსდა საბერძნეთის ქართველთა სათვისტომო „ოქროს სანძისი“, რომლის პროექტის ფარგლებშიც გამოიცემა „საბერძნეთის ემიგრანტული ლიტერატურა“. დოღო გორელაშვილის წიგნი ამ

სერიის რიგით მეცხრამეტე გამოცემაა. მანამდე ამ პროექტის წყალობით 18 ქართველი ავტორის წიგნმა ნახა დღის სინათლე. 16 წელიწადია, ქალბატონი დოღო საბერძნეთში ცხოვრობს. მან უამრავი რამ გადაიტანა ამ წლების განმავლობაში: ენის ბარიერი, ნოსტალგიასთან გამკლავება... ეს ყველაფერი დღეს უკვე ტკივილიან მოგონებად დარჩა. პრობლემების დაძლევაში მას ისევ სიტყვა დაეხმარა, ქართული სიტყვა... (გაგრძელება გვ.3)

პრეზიდენტის საიდუმლო საჩუქარი

გვ. 3

საქართველოდან ამერიკაში გადასული სწავლის ხიდი

გვ. 4

რეცეპტების შემოღება მოსახლეობას დამატებით ბარიერებს არ შეუქმნის
გვ. 2

ყველაზე სადღო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლანების შესახებ!
● ახალი ინფორმაცია
● საბარტლებრივი აქტაბი
● აუქსიონი
● ტანდარი - ყველაფერი
● მხოლოდ ჩვენთან!
ის, რასაც სხვაგან ვერ ნაიპოთხავთ!
www.dedoplistskaro.ge

თინა ხიდაშელი – ღარიბაშვილის მთავრობა უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე ივანიშვილის

„ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობა უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე მისი წინამორბედი ბიძინა ივანიშვილის მთავრობა იყო“, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა და საგარეო მართლმართლობის დეპუტატმა თინა ხიდაშელმა თქვა „დიდი პოლიტიკა“-ში განაცხადა.

თინა ხიდაშელის თქმით, ბიძინა ივანიშვილის მთავრობის წევრები, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თვითმზღუდვის ფორმატში მუშაობდნენ და მინისტრები გადანაცვლებებს სწრაფად და დამოუკიდებლად ვერ იღებდნენ.

„მე ვფიქრობ, რომ მთავრობა, ბოდიშს ვიხდის დღევანდელ პრემიერთან, მაგრამ უფრო ეფექტური გახდება. უფრო მობილური, უფრო სწრაფი და მარტივი იქნება გადანაცვლებების მიღება. ძალიან ობიექტური მიზეზების გამო, მთავრობა თავიდან, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ერთგვარად თვითმზღუდვის ფორმატში მუშაობდა, როდესაც იყო პრემიერი — მინისტრი, რომელიც მო-

სახლეობის ნდობიდან გამომდინარე, იყო პირველი და შემდეგ დანარჩენები იყვნენ თანასწორები, ოღონდ ის ძალიან წინ იყო და ამიტომ. რა თქმა უნდა, ყველას ჰქონდა ეს თვითმზღუდვის მექანიზმი, გადანაცვლებებს მინისტრები ისე სწრაფად ვერ იღებდნენ, როგორც საჭირო იყო. გეტყვით რაც იყო, გამბედაობა არაფერ შუაშია, უბრალოდ როდესაც ყველაფერი უნდა შეათანხმო პრემიერთან, რასაც ის არასდროს არ ითხოვს, შენ გაქვს ამის მოთხოვნილება იმიტომ, რომ იმდენად მაღალია პასუხისმგებლობა, არ გინდა რამე შეგეშალოს. ამიტომ მე მგონია, რომ გაცილებით უფრო ეფექტური იქნება ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობა. ეს მთავრობა უკვე შეთანხმებული გუნდია და თანაც ამ ხალხს ერთ გუნდში მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა აქამდე, ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, დღეს უკვე შეთანხმებული გუნდია. მიჩვენა ეს ხალხი ერთმანეთთან მუშაობას და თითქოს გასწორდა ეს პოლიტიკური ველი“, — აღნიშნა თინა ხიდაშელმა.

ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის ევროპული საქმეების მინისტრს შეხვდა

საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფი შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის ევროპული საქმეების მინისტრს შეხვდა.

შინაგან საქმეთა მინისტროს ცნობით, ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრა გამართა ევროპული საქმეების მინისტრ ტიერი რეპენტინთან. შეხვედრაზე მინისტრებმა საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული თანამშრომლობის ჩარჩოებით აღებული ვალდებულებების შესრულება და სამომავლო გეგმები განიხილეს. საუბარი ასევე შეეხო ვილინიუსის სამიტის მნიშვნელობასა და საქართველოს ევროინ-

ტეგრაციის საკითხებს. გარდა ამისა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ფრანგ კოლეგებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება გააცნო.

ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ ფრანგ კოლეგას - საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ მანუელ ვალსს შეხვდა. მინისტრებმა საფრანგეთსა და საქართველოს შორის ცირკულარული მიგრაციის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. აღნიშნული ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ლეგალურ მიგრაციას და საფრანგეთში საქართველოს მოქალაქეების და საქმების დამატებით შესაძლებლობებს უზრუნველყოფს.

პაატა ბაქარეიშვილი - რუსეთი კუთხეშია მიმწყვდეული

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გრიგორი კარასინის განცხადებას ეხმანება. მისი თქმით, რუსები პანიკაში არიან და ეს კარგად ჩანს იმ განცხადებებში, რომელსაც ბოლო დროს ავრცელებენ.

რაც შეეხება ოკუპირებულ აფხაზეთსა და ოსეთს, მინისტრის შეფასებით მათ მალე მოუწევთ არჩევანის გაკეთება ევროპულ საქართველოსა და რუსეთს შორის.

„კარგად ჩანს რუსეთის გალიზინება, პანიკა და ისტერიკა, ჩანს, რომ მთელი მსოფლიო ჩვენს მხარეშია. თანათავმჯდომარეც კი, რომელიც ცდილობს, იყოს ნეიტრალური, ისიც კი ახსენებს რუსეთს, რომ შესასრულებელია ეს ვალდებულებები, ის რომ კარასინმა თავი ვერ შეიკავა და ასეთი კომენტარი გააკეთა, მეტყველებს იმაზე, რომ რუსეთის პოლიტიკა არ მუშაობს და კუთხეშია მიმწყვდეული“, - განაცხადა ბაქარეიშვილმა.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებულ მოსახლეობას შეშის შესაძენი თანხა პლასტიკურ ბარათებზე დაერიცხება

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებულ მოსახლეობას შეშის შესაძენი თანხა - 200 ლარი, პლასტიკურ ბარათებზე დაერიცხება. ეს გადანაცვლება დღეს, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის სხდომაზე მიიღეს.

„ფინანსთა სამინისტრო აწარმოებს შესაბამის მოლაპარაკებებს „ლიბერთი ბანკთან“, რომელსაც აქვს ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. უახლოეს დღეებში დამზადდება საჭირო პლასტიკური ბარათები და, გამგებობიდან გადმოგზავნილი სივრცის საფუძველზე, მათზე 200-200 ლარი დაირიცხება“, - განაცხადა სხდომის დასრულებისას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის

თანათავმჯდომარემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ, - „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ უკვე გამოყო ტყე-კავები, სადაც ამ ოჯახებისთვის საჭირო შეშა უნდა მოიჭრას. მუნიციპალური განვითარების ფონდი ამ ტყე-კავებამდე მისასვლელ გზებს მოაწესრიგებს.

პარალელურად, გამოცხადდება ტენდერი, რომელში გამარჯვებული ფირმაც შეშის იმ ადგილებზე მიტანას უზრუნველყოფს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ჩვენი სამიზნე სოფლების მოსახლეობისთვის.“

მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი სივრცის მიხედვით, ზამთრისთვის შეშის უზრუნველსაყოფად საჭირო დახმარებას, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები 11475 ოჯახი მიიღებს.

რკინიგზელთა გაფიცვის ფაქტს ექსპერტი გია ხუბაშვილი აფასებს

როგორც „ვერსიასთან“ საუბარში ექსპერტი განმარტავს, შესაძლოა რკინიგზელთა გაფიცვა ვინმეს მიერ იმართებოდეს.

- რკინიგზის ირგვლივ ბევრი ინტერესი არსებობს, რომელიც თავის დროზე, აქ ხელეშს ითხოვდა. დღეს მათი ენ. ფინანსური წყარო გადაკეტილია. კონკრეტულად არავის ვაძვებ ხელს, მაგრამ არ გამოვიყენებ, რომ სწორედ ისინი იყვნენ დაინტერესებული, რომ დაძაბულობა შექმნან. რკინიგზაზე თუნდაც ერთი დღით პრობლემების შექმნას, შესაძლოა, გრძელვადიანი და გაცილებით სერიოზული ზარალი მოჰყვეს.

მითუმეტეს, როდესაც ხელმძღვანელობა უარს არ ამბობს მოლაპარაკებაზე, მაგრამ მხოლოდ სამუშაო რეჟიმში და არა ულტიმატუმის ენაზე! ასეთ ვითარებაში, ამ

ტიპის რადიკალური ლოზინგები გარკვეულ კითხვებს ბადებს, რაც აუცილებლად გასარკვევია.

ბევრად უარესი მდგომარეობა იყო წინა ხელისუფლების პირობებში, მაშინ რატომ არ გამოდიოდნენ, რა, კარგად ცხოვრობდნენ? დღეს რატომ გააქტიურდნენ, დამატებითი ინტერესი გაჩნდა ენ. დაზარალებული ბიზნესმენების მხრიდან? არ გამოვიყენებ, რომ ეს გაფიცვა კი არა, საბოტაჟის მცდელობა იყოს... როდესაც რკინიგზაზე გარკვეული ბიზნესგვარსები ფულს იპარავენ და საკმაოდ სერიოზული შემოსავალი მათ ვიბეჭდები ილექებოდა - დავით კეზერაშვილის ფაფუს რომ რკინიგზიდან 10 000 000 - 12 000 000 აშშ დოლარი სახლში მიჰქონდა, ეს ხალხი მაშინ ხმას რატომ არ იღებდა? - აცხადებს გია ხუბაშვილი.

საქართველოში წითელას იმუნიზაციის მასობრივი კამპანია დაიწყო

მთავრობის განკარგულებით, წითელას იმუნიზაციის მასობრივი კამპანია დაიწყო. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, წითელას ვირუსის სანიტარულად არ დასრულებულია. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მისიის თვის მონაცემებით კი, საქართველოში წითელას სულ 2 206 შემთხვევა გამოვლინდა. აქედან, 677 შემთხვევა საქართველოს 48 რაიონში დაფიქსირდა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მისიის თვის მონაცემებით კი, საქართველოში წითელას სულ 2 206 შემთხვევა გამოვლინდა. აქედან, 677 შემთხვევა საქართველოს 48 რაიონში დაფიქსირდა. ფატალურად 2 შემთხვევა დასრულდა, გარდაიცვალა მცირეწლოვანი ბავშვი და 19 წლის ახალგაზრდა.

წითელა მწვავე ინფექციური, ვირუსული დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს ტემპერატურის აწევა, ინტოქსიკაცია, ზემო სასუნთქი გზებისა და თვალის ლორწოვანი გარსების ანთება, ლაქოვან-კვანძოვანი გამონაყარი. ადამიანს ინფექცია გადაეცემა მხოლოდ ავადმყოფისგან, ჰაერწვეთოვანი გზით. წითელას პირველი სიმპტომებია: მაღალი ტემპერატურა, მშრალი ხველა, სურდო, ქუთუთოების შეწითლება, მოთეთრო-მონაცისფრო წერტილები ლოყის შიგნითა ნაწილზე. დაახლოებით მე-3 მე-4 დღეს ჩნდება გამონაყარი, ჯერ სახეზე, შემდეგ ტანზე. გამონაყარი მე-6 მე-7 დღეს ქრება. მცირეწლოვან ბავშვებში წითელას შეიძლება დაერთოს ფილტვების და ყურის ანთება, ხოლო მოზარდებში შესაძლოა ტვინის ანთებაც გამოიწვიოს.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მისიის თვის მონაცემებით კი, საქართველოში წითელას სულ 2 206 შემთხვევა გამოვლინდა. აქედან, 677 შემთხვევა საქართველოს 48 რაიონში დაფიქსირდა. ფატალურად 2 შემთხვევა დასრულდა, გარდაიცვალა მცირეწლოვანი ბავშვი და 19 წლის ახალგაზრდა.

წითელა მწვავე ინფექციური, ვირუსული დაავადებაა, რომელსაც ახასიათებს ტემპერატურის აწევა, ინტოქსიკაცია, ზემო სასუნთქი გზებისა და თვალის ლორწოვანი გარსების ანთება, ლაქოვან-კვანძოვანი გამონაყარი. ადამიანს ინფექცია გადაეცემა მხოლოდ ავადმყოფისგან, ჰაერწვეთოვანი გზით. წითელას პირველი სიმპტომებია: მაღალი ტემპერატურა, მშრალი ხველა, სურდო, ქუთუთოების შეწითლება, მოთეთრო-მონაცისფრო წერტილები ლოყის შიგნითა ნაწილზე. დაახლოებით მე-3 მე-4 დღეს ჩნდება გამონაყარი, ჯერ სახეზე, შემდეგ ტანზე. გამონაყარი მე-6 მე-7 დღეს ქრება. მცირეწლოვან ბავშვებში წითელას შეიძლება დაერთოს ფილტვების და ყურის ანთება, ხოლო მოზარდებში შესაძლოა ტვინის ანთებაც გამოიწვიოს.

დავით სერგეენკო - რეცეპტების შემოღება მოსახლეობას დამატებით ბარიერებს არ შეუქმნის



რეცეპტების შემოღება არ იქნება დაკავშირებული მოსახლეობისთვის დამატებით ბარიერებთან, - ამის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ შურანლისტებთან თემის კომენტარებისას განაცხადა.

მისივე თქმით, რეცეპტების შემოღება დროის, რიგების, ფინანსური და დამატებითი გადასახადების კუთხით მოსახლეობას ბარიერებს არ შეუქმნის.

„ჩვენ სწორედ ამ რისკების განწმენას მოვუწოდებთ ნახევარწელი, რომ ყველა ეს რისკი დასრულიყო მინიმუმამდე. მე ვფიქრობ, ეს პროექტიც ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც საყოველთაო ჯანდაცვა“, - განაცხადა დავით სერგეენკომ და დასძინა, რომ რეცეპტების შემოღება საბიუჯეტო ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.

მისივე თქმით, ქრონიკული დაავადებების მქონე პირებს ხანგრძლივი მოქმედების ერთწლიანი რეცეპტები ექნებათ.

2014 წლის პირველი იანვრიდან მეორე კატეგორიის მედიკამენტები ურეცეპტოდ აღარ გაიყიდება.

პრეზიდენტის საიდუმლო სარეჟისორი

განათლება თუ ამომრჩევლის გულის მოგება?!

შპს „დელტა კომპა“ 2012 წელს კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციას 100 ერთეული პორტატული კომპიუტერი უსასყიდლოდ გადასცა. როგორც ახლა ირკვევა, გუბერნორმა ტექნიკა კახეთის რვა მუნიციპალიტეტს გადაუხანძრა. კომპიუტერები წინასაარჩევნო კამპანიის დროს, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, მოსახლეობას საჩუქრად გადასცეს. საბოლოო ჯამში, გაჩუქებული კომპიუტერების ლიზენზიულუბამ 67 745 ლარი შეადგინა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დედოფლისწყაროს სულ 11 პორტატული კომპიუტერი შეხვდა. სხვათაშორის, უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილის გუნდს იმხანად ამ ფაქტის აფიშირება არ მოუხდენია, დასაჩუქრებული ოჯახებიც ფაქტის დადასტურებას მედიასთან დიდხანს ერიდებოდნენ. ამჯერად კი, რამდენიმე მათგანი, ჩვენთან საუბრისას პირდაპირ აცხადებს, რომ საჩუქარი მათ ოჯახში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა და ამჟამად პარლამენტარმა ზაზა კედელაშვილმა მიიტანეს.

დედოფლისწყაროს მკვიდრი, თამილა ლობჯანიძე ჩვენთან საუბრისას არ უარყოფს, რომ ერთ-ერთი კომპიუტერი გასული წლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე მის შეილებსაც ერგოთ. ის აცხადებს, რომ კომპიუტერის საჭიროების აუცილებლობაზე წინასაარჩევნო შეხვედრის დროს თავადვე ისაუბრა და იმჟამინდელმა ხელისუფლებამ თხოვნა აუსრულა.

„როგორც გვითხრეს, ეს კომპიუტერები პრეზიდენტის საჩუქარი იყო. წინა არჩევნების დროს „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ორგანიზაციის სამმა წევრმა მოგვიტანა. როგორც ვიცი, ამ პერიოდში ანალოგიურად სხვა ოჯახებსაც გადაეცათ. როგორც გაჭირვებულ ოჯახს, ისე დარიგდა, არავითარი მოსყიდვა არ ყოფილა. მითუმეტეს, რომ ყველამ იცოდა, ოცნების მხარდამჭერი ვიყავი, მაგრამ ამას საჩუქრის მიღებაში ხელი არ შეუშლია. პირადად ზაზა კედელაშვილმა მოიტანა ჩვენთან. ნამდვილად არ შემიძლია ამის დამალვა, ცუდიც შემიძლია დავინახო და კარგიც. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ წინასაარჩევნო შეხვედრას ვესწრებოდი და იქ ნამდვილად ვთქვი, რომ სააგიტაციოდ მისული პარტიის წევრები ჩემი შეილების ცრემლების ფასად არ მილირდა. ცრემლებში ვიგულისხმე ის ფაქტი, რომ ბოლო დროს ჩემი შეილები მუდმივად ითხოვდნენ კომპიუტერს, რომელიც განათლების მისაღებად ესაჭიროებოდათ. მითუმეტეს, რომ მარტოხელა დედა ვარ, ქალვაჟს მეუღლის გარეშე ვზრდი, ბავშვებს ბევრი რამ აკლიათ. უმუშევარი ვიყავი და ამის საშუალება არ მქონდა. ამ საარჩევნო შეხვედრაზე მე წამოვიხიე თემა, რომ როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახის წარმომადგენელი, ნამდვილად ვერასოდეს მოვახერხებდი შეილებისთვის ამ სურვილის შესრულებას, რის გამოც ბოლო დროს სულ ტიროდნენ, რადგან პედაგოგები თითქმის ყველა სა-

განში სთხოვდნენ კომპიუტერს. ვერ გეტყვით, კონკრეტულად ვინ გაითვალისწინა ჩვენი თხოვნა, ალბათ გუნდურად იმსჯელეს და ამ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დაგვხმარებოდნენ,“ - აღნიშნავს რესპონდენტი.

ოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნული კომპიუტერები მუნიციპალიტეტებს გადაეცათ. მედიაში არსებობს ვერსია, რომ ტექნიკა თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობის სხვადასხვა სამსახურებს უნდა მოხმარებოდა. უცნობია,

რა ტომში მიეცა ელექტრო ტექნიკას სხვა მიმართულებები. მედიაში უკვე გამოქვეყნდა კონკრეტული ციფრები. კერძოდ, ახმეტის მუნიციპალიტეტს გადაეცა — 11 კომპიუტერი; გურჯაანის მუნიციპალიტეტს — 15; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს — 11; თელავის მუნიციპალიტეტს — 15; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს — 11; საგარეჯოს მუნიციპალიტეტს — 11 და ყვარლის მუნიციპალიტეტს — 11 ერთეული პორტატული კომპიუტერი.

ეს ინფორმაცია, ვერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთმა გახარებულმა ოჯახმაც გამანდო, რომელთაც მოგვიანებით მიხეილ

მაციის გამოქვეყნებაზე დავუწყე საუბარი, დეტალების დაკონკრეტება აღარ ისურვის. ამჟამად იყო, რომ ფაქტის გახმაურება არ სურდათ.

არ გვინდა, მკითხველმა ისე გაგვიგოს, თითქოს, ხელმოკლე ოჯახებისთვის ამგვარი დახმარების განხორციელება წინააღმდეგობის პირობით... აქვე მინდა ვაღიარო, რომ ის ოჯახები, რომელთაც ამ სიკეთით ისარგებლეს, მართლაც ჰაერით საჭიროებდნენ კომპიუტერს და დარწმუნებული ვარ, ისინი საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებით კიდევ დიდხანს ვერ შეძლებდნენ ამ სურვილის ასრულებას. უბრალოდ, დასაძინებელი ისაა, რომ მავანს ამგვარი ხელგაშლილობისა და სულგრძელობის სურვილი არჩევნებამდე ორი კვირით ადრე უჩნდება და არა მანამდე. ამ ქველმოქმედებას კი მინცდამინც დეპუტატობის კანდიდატის ხელით აკეთებს. ჩემთვის ასევე გაუგებარია, რატომ განხორციელდა ეს ყველაფერი ასე მალულად. ამიტომაც, ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რა მიზანს ემსახურებოდა ეს ძღვენი. „ნაციონალური მოძრაობას“ და გუბერნიის მართლაც სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები მოზარდების განათლებისთვის აუცილებელი პირობების გაუმჯობესება ანაღვლებდა, თუ ეს ყველაფერი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ამომრჩევლისთვის გულის მოგებას უფრო ემსახურებოდა?...

ილია მარტყოფილი



რა ტომში მიეცა ელექტრო ტექნიკას სხვა მიმართულებები.

მედიაში უკვე გამოქვეყნდა კონკრეტული ციფრები. კერძოდ, ახმეტის მუნიციპალიტეტს გადაე-

ცა — 11 კომპიუტერი; გურჯაანის მუნიციპალიტეტს — 15; დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს — 11; თელავის მუნიციპალიტეტს — 15; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს — 11; საგარეჯოს მუნიციპალიტეტს — 11 და ყვარლის მუნიციპალიტეტს — 11 ერთეული პორტატული კომპიუტერი.

„ფიზიკურად საბერძნეთში ვარ, მაგრამ სულიერად მხოლოდ ჩემს სამშობლოში“...

(პირველი გვერდიდან)

რამდენიმე დღის წინ მისი ახალი წიგნის პრეზენტაციას დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უმასპინძლა. საღამოს თავად წიგნის ავტორიც ესწრებოდა, რომელიც ცოტა ხნით ეწვია მშობლიურ რაიონს. ქალბატონი დოდო დედოფლისწყაროელია, ის სოფელ ქვემო ქედში დაიბადა და გაიზარდა, წერდა ლექსებს, რომლებსაც გაზეთ „შირაქში“ ბეჭდავდა. საბერძნეთის უცხო ცის ქვეშ ცხოვრებაც ისევ ლექსმა გაუადვილა... ტკივილმა კი

მეტი ძალა შესძინა მას, ჭირთა თმენის უნარიც გაუათქვია...

„ცრემლები, დარდი და ტკივილი“, „ვის ესმის ამ სულის კივილი?“-ეს გოდებაა ქართველი ქალისა, სამშობლოდან გადაკარგულის მხრებზე რომ დგას უამრავი ახლობლის გადასარჩენად. დღეს ეს ტკივილი ბევრისთვისაა ნაცნობი, რადგან თითქმის არ არსებობს ოჯახი საქართველოში, საზღვარგარეთ რომ არ ჰყავდეს ნასული ახლობელი, მათი მონატრება რომ არ კლავდეს ოჯახის წევრებს...

„ათი წელი გავიდა, რაც საბერძნეთის მიწას ვთვალავ, ათი ათასი მწარე ლუკმა მიგემია, სიკეთეც მხვდომია წილად, ოღონდ ცოტა, ძალიან ცოტა.“

ნათქვამია, „სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“. ამიტომაც, ჩემი ცხენი სულ შეკაზმულია. სიმართლე არავის მოსწონს, არ უნდა გაიგონ ის, რაც სწორია, მარტო იმიტომ, რომ შენ „უცხო“ ხარ.

მე კი, ნახევარ საუკუნეგავლილ ქალს, ძალიან მიჭირს ცხოვრების სცენაზე თამაში, არა ვარ კარგი მსახიობი. თუ არ მეცინება, ვერავინ და ვერაფერი გამაცინებს. აქ კი სულ 28

კბილი უნდა გიჩანდე, შენს უფროსს გალიმებული უნდა შეხედე, ტკივილად უნდა ელაპარაკო, ყველაფერზე კუდი უქიციანო, მაშინ ხარ კარგი მოახლე. თუ ხმა ამოიღე, თვალშიც ამოგიღებენ.“-ასე აღწერს იქაურ ყოფას დოდო გორელაშვილი. მის წიგნში უამრავ რეალურ ისტორიას წაიკითხავთ, რომელიც კარგად გადმოსცემს უცხოეთში გადახვენილი ქართველების ცხოვრებას.

მ ხ ა რ ე თ მ ც ო დ - ნეოპის მუზეუმში გამართული ღონისძიება მხოლოდ ქალბატონი დოდოს წიგნის პრეზენტაცია კი არ იყო, არამედ ეს იყო საუბარი საქართველოსა და ქართველი ადამიანის ბედზე, რომელსაც თავისი ისტორიის მანძილზე ძალიან ბევრი განსაცდელი გადაუტანია, მაგრამ კვლავ აღმდგარა ფენიქსით და დამდგარა გაჭირვებაზე, ტკივილზე მაღლა.

საღამო მიჰყავდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ლალი გურასპაულს. მან მიმოიხილა ქალბატონი დოდოს შემოქმედება, ისაუბრა მის ლე-



ქსებზე. ღონისძიების მსვლელობისას დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებმა ისაუბრეს ემიგრაციაზე და დოდო გორელაშვილის ლექსებზე, სადაც სამშობლოს ნოსტალგიით გამოწვეულ განცდასთან ერთად დიდი ადგილი უჭირავს დედის დაკარგვით მიყენებულ ტკივილს. საღამო იყო ძალიან თბილი, რადგან, როგორც გაომოსვლელებმა აღნიშნეს, ქალბატონი დოდოს სახით ისინი მოეფერნენ თავიანთ მონატრებულ ემიგრანტებს... ქალბატონი დოდო კი საქართველოდან საგ-

ზლად ამ სიტუაციის წაიღებს, ქართულ სიტუაციას, რომელიც მას მომავალ ჩამოსვლამდე გაჰყავდა...

იმედი გვაქვს, მკითხველი ამ წიგნს ინტერესით გაეცნობა, სადაც ქართველი ქალბატონი, ვისაც, როგორც თვითონ ამბობს, „ბედნიერების ნუთებს და წამებს ძალიან მცირეს სთავაზობს ბედი“, მაინც დიდი სიყვარულის ნიჭით გამოირჩევა და თავის სევდას და სიხარულს, ცრემლს და იმედს შესაშური გულწრფელობით გვიზიარებს.

ინგა შილაშვილი

საბერძნეთის ქართული მუზეუმის დასრულება

ΕΛΛΗΝΙΚΗ ΤΗ ΕΠΙΘΕΣΗ

ΠΡΟΠΗΛΙΟΝ ΤΗΣ ΕΛΛΑΔΟΣ

ΛΕΥΚΗ (ΔΕΛΦΕΣ) ΙΣΤΟΡΙΑ

ΣΤΑΣΗ ΓΕΩΡΓΙΑΣ

ΔΕΛΦΕΣ

ΔΟΔΟ (ΔΕΛΟΥΚΑ) ΗΒΑΝΗΣ ΓΟΡΕΛΑΣΧΙΛΗΣ

ΧΟΡΕ ΕΞΙΕΝΑ ΘΑ ΕΙΝΑΙ ΔΗΞΕΛΟ

19

ΑΘΗΝΑ 2011

საქართველოდან ამერიკაში გადღებულ სწავლის ხიდი

საქართველოში ყოველწლიურად ხორციელდება ამერიკული პროგრამა Flex-ი, ეს გახლავთ გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებში წელიწადში 50-მდე ქართველ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, უფასო ერთწლიანი სწავლება გაიაროს ამერიკის შეერთებულ შტატებში. აღნიშნულ პროგრამაში წელს კახეთიდან მხოლოდ ორი მოსწავლე მოხვდა, ორივე ჩვენი რაიონელია. №1 სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ქატი ჩაფიაშვილი და მეთორმეტე კლასის მოსწავლე ლევან ჩუთლაშვილი. ლევანი ვაშინგტონის შტატის ერთ-ერთ სკოლაში ისწავლის, ქეთი კი - ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ჰანიბალში.

გაზეთი „შირაჟი“ სწორედ ქეთი ჩაფიაშვილის დედას, ქალბატონ მზია წყარაშვილს შეხვდა და მისი შვილის ამერიკული სწავლის შესახებ ესაუბრა.

– ქალბატონო მზია, მოგვიყევით, როგორ მოხვდა თქვენი შვილი ქეთი ჩაფიაშვილი ამერიკის შეერთებული შტატების სკოლაში ერთი აკადემიური სასწავლო წლის კურსის გასაღებად?

– საქართველოში ყოველწლიურად ტარდება ამერიკული პროგრამა Flex-ი, რომელიც ასე იშორება: მომავალი დედის გაცვლითი პროგრამა. ფინანსისტების შერჩევა მიმდინარეობს სამ ეტაპად. სამივე ტურის გადასვლის შემთხვევაში მოსწავლეები გადიან გასაუბრებას ამერიკული საბჭოების წარმომადგენლებთან და თუ ეს ბოლო საფეხურიც წარმატებით დაძლია მონაწილემ, ის ხდება ამ პროგრამის ფინანსტი. ყოველწლიურად საქართველოდან ამ პროგრამაში მონაწილეობს ოთხიასამდე მოსწავლე, ხოლო ფინანსტი ხდება მხოლოდ 45-50 მონაწილეს. კვალიფიციური ამერიკული გამანაწილებელი ორგანიზაციები

ფინანსისტებს საგანგებოდ შერჩეულ მასპინძელ ოჯახებში განათავსებენ და მოსწავლეების ადგილობრივ საჯარო სკოლებში ჩარიცხვის საკითხებს აგვარებენ. ამ პროგრამას მთლიანად აფინანსებენ ამერიკული საბჭოები და ამიტომ, მოსწავლეს უსასყიდლოდ უწევენ მასპინძლობას ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. ეს ბავშვები ხვდებიან სულ ცალ-ცალკე შტატებში. ქეთი მოხვდა ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ჰანიბალში. მისი თქმით, ჰანიბალი ძალიან ლამაზი, მყუდრო ქალაქია. მასპინძლები კი, ძალიან გულთბილები. ოჯახში ცხოვრობს მხოლოდ ცოლი და ქმარი, ქეთი კი მათი შვილობილია ამ ერთი წლის განმავლობაში. დედობილი სწორედ ამ გაცვლითი პროგრამის კოორდინატორია იმ შტატში, ხოლო მამობილი მასწავლებელი. სკოლა მდებარეობს სახლიდან 10 წუთის სავალზე და აქაური სკოლებისგან აბსოლუტურად განსხვავებულია. გაკვეთილების ხანგრძლივობა 80 წუთია, საგნებიც სულ სხვაა: ამერიკის ისტორია, ფსიქოლოგია, სამართალი, ინგლისური, ესპანური და ა.შ. სკოლაში უტარდება ასევე სპორტის და მუსიკის გაკვეთილები. ქეთისთან თითქმის ყოველდღიური საუბარი მაქვს და ამბობს, რომ მოსწონს როგორც სკოლა, ასევე მასწავლებლები, რომლებიც, მისი თქმით, ნამდვილი პროფესიონალები არიან და, ამავე დროს, გამოირჩევიან მოსწავლეების მიმართ საკმაოდ თბილი დამოკიდებულებით, მაგრამ ქეთი იმასაც ხშირად დასძენს, რომ ჩვენს მასწავლებლებთან ურთიერთობას მაინც ვერ შევადრი მათსა, ჩვენ ხომ ქართველები ვართ, აქ კი მოსწავლე-მასწავლებელს შორის სხვაანაირი მეგობრული განწყობაა.

– როგორი ურთიერთობა აქვს უცხო

ქვეყანაში მყოფ ქართველ გოგონას იქაურ მოსწავლეებთან?

– რაც შეეხება ბავშვებთან ურთიერთობას, ამბობს, რომ ბევრი ამხანაგი შეიძინა, მაგრამ ნამდვილი მეგობრები მხოლოდ საქართველოში ეგულება... გაკვეთილების შემდეგ ქეთი სხვადასხვა აქტივობებშია ჩაბმული, თამაშობს სკოლის



ფრენბურთის ნაკრებში, დადის პოპ-მუსიკის ჯგუფში და ასევე მღერის სასკოლო გუნდში. ახლახანს სკოლაში ჩატარდა პრეზენტაციების კვირეული და ქეთიმ წარმოადგინა პრეზენტაცია საქართველოზე, რომელმაც დიდი მონონება დაიმსახურა დამსწრე საზოგადოებაში და კომპლიმენტიც ბევრი მიიღო - ასეთი შთამბეჭდავი პრეზენტაცია თავის ქვეყანაზე არასდროს არც ერთ ბავშვს არ გაუკეთებიაო... ქეთის აზრით კი ეს პატარა წარმატება სწორედ საქართველოს უსაშველოდ მონატრების დამსახურებაა.

– როგორია ქეთის სკოლის შემდგომი დღის წესრიგი, რა გარემო ხვდება მას მიმღებ ოჯახში?

– სასკოლო ცხოვრების დამთავრების შემდეგ ბავშვს მანქანით აკითხავენ „დედა“ და „მამა“ და მოჰყავთ სახლში, სადაც ქეთის ნამდვილად ხვდება ოჯახური სითბო: გემრიელი სადილი და შთაბეჭდილებების გაზიარება ოჯახის წევრებთან, ხოლო შემდეგ თავაუღებელი შრომა გაკვეთილების სასწავლად. არ მინდა, სულ ქებასავით გამოვივიდეს, მაგრამ ქეთის კლასში ყველაზე მაღალი პროცენტული შეფასება აქვს (თვითონ ერთადერთი უცხოელია კლასში). შაბათ-კვირას ოჯახს ქეთი დაჰყავს სამოგზაუროდ მეზობელ შტატებში სხვადასხვა ღირსშესანიშნაობების სანახავად, მათთან ერთად არიან ხოლმე ქეთის პირველი მასპინძლები „ბებია“ და „პაპა“, რომლებიც დედობილის მშობლები არიან და იქვე ახლოს ცხოვრობენ. ეს ბებია-პაპა იმ ქალაქში ძალიან პოპულარული ხალხია და ქეთი მათ სამეგობროშიც ხშირად იღებენ ხოლმე დასვენების დღეებში. ერთი სიტყვით, ბავშვი უაღრესად კმაყოფილია მათი მასპინძლობით. ხოლო მასპინძლები კი თავიანთი უპრეტენზიო და

კარგად აღზრდილი (როგორც თვითონ უწოდებენ) სტუმრით. ამ პროგრამის მიზანიც ხომ თითქმის ეს არის - ურთიერთგაგების გაღრმავება აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ხალხებს შორის და აგრეთვე, მათ მიერ სხვა ქვეყნების კულტურის შესწავლა სწორედ ამ ბავშვების მეშვეობით.

– რას გნერო ხოლმე ყველაზე ხშირად თქვენი შვილი, რის ნოსტალგია აქვს?

– ერთ-ერთ წერილში, რომელსაც ეგრეთ ნოდებული ინბოქსის საშუალებით ვწერთ ხოლმე ერთმანეთს, ის მწერს - „დედიკო, მე არ ვიცი სინამდვილეში ამ პროგრამის დამაარსებლებს რა მიზანი ამოძრავებდათ, მაგრამ პირადად ჩემთვის ამერიკაში ჩამოსვლას ის მიზანი ჰქონდა, რომ აქედან უფრო კარგად დამეჩინა, თუ რამდენად კარგი და დასაფასებელია ჩემი საქართველო თავისი ტრადიციებით, თავისი ადამიანებს შორის გულთბილი დამოკიდებულებებით, თავისი უნიჭიერესი ხალხით და ყველაფერ იმით, რასაც ქართული და მართლა მშობლიური ჰქვია“...

და კიდევ, მაღლობა მინდა გადავუხადო ყველა ორგანიზატორს, ვინც ამ საქმეს აკეთებს, ქეთის პედაგოგებს, იქ დამხვედრ პედაგოგებს და ოჯახს, სადაც ჩემი შვილია, მათ ქეთის იქ დიდებული დაბადების დღე გადაუხადეს ტორტით, ქართული კერძებით და ჩვენი ტრადიციების გათვალისწინებით, რაც ჩემი შვილისთვის ნამდვილი სიურპრიზი იყო. მაღლობა მათ და პროექტის ყველა ორგანიზატორს ამ სიკეთისათვის.

წარმატებებს ვისურვებთ ქეთი ჩაფიაშვილის ცხოვრების მომავალ გზაზე, კვლავ უამრავი წინსვლა ჰქონოდეს.

ლალი მხრისიშვილი



ხალხური პოეზიის დღესასწაული

12 ნოემბერს გამარჯვების საჯარო სკოლაში სადღესასწაულო განწყობა შეინიშნებოდა. ამ დღეს სკოლაში, ისევე, როგორც ყოველთვის, ახლაც ორიგინალურ და საინტერესო ღონისძიებას უმასპინძლა. ღონისძიებაზე მონაწილეები გახლდათ მთელი სოფელი, მათთან ერთად რაიონის ინტელიგენციაც, მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი ხალხური ზეპირსიტყვიერების დღესასწაულზე ყველას ჰქონდა შესაძლებლობა, თავისი წილი შემოწირულობა გაელო სოფელ გამარჯვებაში ახლადწამოწყებული ტაძრის მშენებლობისთვის. სკოლა სადღესასწაულოდ იყო მორთული. მასპინძელმა ნამდვილი ხალხური პოეზიის ზეიმი მოაწყო. ღონისძიებაზე შემოსული თანხა, რომელიც ათას ლარამდე მოგროვდა, სკოლამ ტაძრის მშენებლობას შესწირა.

ხალხური შემოქმედებითი სული დაუოკებელია და მრავალმხრივი. იგი ყოველ სფეროში ვლინდება განუყოფელი სიხალასითა და თავისთავადობით, სწორედ ხალხური პოეზიის მასპინძლობის სურვილი გასჩენიათ სკოლის უფროსებს. ხალხური ზეპირსიტყვიერების ზეიმზე მისულ სტუმრებს, თანასოფლელებს, მშობლებს სკოლა საოცრად მორთული დახვდათ, დერეფნები და დარბაზი სავსე იყო ხალხური რენის ნიმუშებით: ფარდავებით, თიხის ნამუშევრებით, მოწული კალათებით და შემოდგომის ნობათით. სტუმრე-

ბს ღონისძიების დაწყებამდე თვალთ ნანახითაც ისეთი შეგრძნება დაეუფლებოდა, თითქოს ბარაქიანი კახეთის რთვლებში მონეულ მოსავალს და გლეხკაცის ხელით შექმნილ-გაკეთებულს სულ აქ მოეყარა თავი. და როცა ამ მიწის შვილი ხარ, ეს დეკორაციაც თვალსა და სულს სიამოვნებს. ღონისძიების სულისჩამდგმელი გახლდათ ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი ნელი შანშიაშვილი. „არ არსებობს მსოფლიოში ხალხი, პოეტური ფოლკლორი რომ არ ჰქონდეს. არ არსებობს არცერთი ქვეყნის ლიტერატურა, რომელიც არ ამოზრდოდა იმის ხალხური შემოქმედების ნიაღვრის და არ საზრდობდეს მისი ნოყიერი ნიადაგით. ფოლკლორია უპირველესი საბადო და მადანი ერის სულიერი სიმდიდრისა. აქედან მოდის ცოცხალი სიტყვა, უცაბედი და გაუცვეთელი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეშრობია პირველქმნალობის სინედლე...“ ამ სიტყვებით წამყვანმა, ამავე სკოლის მოსწავლემ გიორგი მარტყოფლიშვილმა ხალხური ზეპირსიტყვიერების ზეიმი გახსნილად გამოაცხადა და გულა მოეხსნა ქართულ გენმა ღრმად ჩაკიროლი და შესისხლბორცვებულ ხალხურ პოეზიას, რომელიც იმ დღეს გამარჯვების სკოლის დარბაზში ზოგი შარადის სახით წარმო-

თქვა, ზოგი ჩონგურზე ამღერდა და ზოგიც სალაშურის ჰანგებით აკენდა. მისი თანაწამყვანები გახლდნენ თაია გიგაური, ლაშა კვირიკაშვილი და ირინა პოპიაშვილი. მოსწავლეებმა ნინო სუ-

მა, არაჩვეულებრივად იმღერეს მოსწავლეებმა სიმღერა „ალზევანს წაველ მარილზე“. ქართველი კაცისთვის შრომა თანდაყოლილი თვისებაა. საქართველოს ველ-მინდვრები მორწყულია

ვებმა წარმოთქვეს ის ლექსები და სიმღერები, რომლებიც ამგვარი შრომის დროს იქმნებოდა და ითქმოდა. მათ გვიმღერეს სიმღერა „ვეთოხნოთ და ვთოხნოთ.“ შემდეგ კი საგმირო, სამონადირო და სასიყვარული ბალადებს მიუძღვნეს ლექსები „შემომეყარა ყივჩაღი“ და „თავფარაველი ჭაბუკი“. წარმოითქვა ანდაზები, შარადები, შესიტყვებები. ღონისძიებას არ აკლდა გულმხურვალე მასწავლებელი და აპლოდისმენტები, ისე რომ, დასასრულს კმაყოფილების ემოციით მოცულ გადაჭედულ დარბაზში დიდხანს, დიდხანს გრძელდებოდა ოვაციები. სტუმრებს შორის გახლდათ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი მიხეილ ბახუტაშვილი, სოფელ გამარჯვების რწმუნებული გიორგი ჭინჭარაული და სოფლის კოლორიტი, სოფლის კულტურული ცხოვრების ზედმინეწით მცოდნე და დამფასებელი, ზურაბ ბიკაშვილი, რომლებმაც მონაწილეობა გამოხატეს აღნიშნული ღონისძიების წარმატებით განხორციელებისთვის და კვლავაც წინსვლა უსურვეს სკოლას. დასასრულს, დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სკოლის დირექტორმა თამარ ბატიაშვილმა, ხოლო ღონისძიებიდან შემოსული შემოწირულობა, იმავე დღეს ჩაირიცხა სოფელ გამარჯვების ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობისთვის არსებულ ანგარიშზე.

ლალი მხრისძე



ლაშვილმა, მარიამ და მერაბ გორაშვილებმა, ლევან ბენაშვილმა, ნინო ფიროსმანაშვილმა, ნინო გოგოჭურმა, ნინო სულაშვილმა შესანიშნავად დაუკრეს ფანდურზე, სალაშურზე და შეასრულეს ძველთაძველი ხალხური სიმღერა „იანანა“, რომელზე ძვირფასი სიმღერა ქართველ ქალს და დედას ჯერ არ უმღერია. ამას მოჰყვა სიმღერა „ბატონები“, „გუთანი ისე გავმართე“ ლექსი წარმოთქვა ლაშა გოგოჭურ-

გლესკაცის ოფლით. ჩვენი ქვეყნის ბუნების მრავალფეროვნება საფუძვლად დაედო შრომის სახეების ნაირგვარობას. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საქმიანობას თან ახლავს მისი რიტმისა და შინაარსის ამსახველი სპეციფიკური პოეზია ყანის მარგვლას, თიხნას, პურის მკას, ლენვას, თიბვას, ყურძნის კრეფას და დაწურვას, ურემზე მუშაობას, მეტივეობას, ფეიქრობას თუ წყლის მოტანას. სწორედ ამიტომ ბავშ-

ანსამბლი „იმედი“ ქველმოქმედებისთვის

ბოლო ერთი წლის განმავლობაში დედოფლისწყაროში კულტურულმა სფერომ აღორძინება დაიწყო. მიუხედავად აქ არსებული ჯერ კიდევ უამრავი პრობლემისა, ამ გუნდის წარმომადგენლობა ენთუზიაზმს არ კარგავს, სულ უფრო ღამაში და საინტერესო ღონისძიებების მოწყობისათვის. 9 ნოემბერს კულტურის სახლში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედის“ ეგიდით. კონცერტზე გაყიდული ბილეთების თანხა მოხმარდება ელიის და მახათას მთაზე არსებული სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას. ამით ანსამბლის ხელმძღვანელ-ქორეოგრაფებმა ხეიჩა ზუბიაშვილმა და ნინო კობაიძემ ბავშვებს კიდევ ერთხელ შთააგონეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და კეთილშობილური საქციელია ქართველისათვის ქართული ეკლესიამონასტრების მშენებლობაში მონაწილეობის მიღება, თუმცა, როდესაც ბავშვი ქართული ცეკვის ხელოვნებას ეუფლება, ამით მას, თავისთავად, ხელი ეწყობა სამაგალითო ქართველ ვაჟკაცად და ქართველ ქალად ჩამოყალიბებაში.

ანსამბლი „იმედი“ თითქმის შვიდი წელია არსებობს ჩვენს რაიონში, იგი ამ ხნის მანძილზე იყო მრავალი ფესტივალის გა-

მარჯვებული, ჩაატარა 3 სოლო კონცერტი და ერთი საიუბილეო საღამო 5 წლისთავზე. ისინი აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებული ფესტივალების გამარჯვებულები და ლაურეატები არიან. ამ საქველმოქმედო კონცერტის ჩატარების იდეაც მათ ეკუთვნოდათ, თუმცა საღამო თავისი შინაარსის გამო დიდ მხარდაჭერას საჭიროებდა. მართლაც, ბევრი ადამიანი ჩაერთო ამ საღამოს მოწყობაში. ესენი არიან: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ირაკლი შილაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ნატროშვილი, გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი ნინო ბახუტაშვილი, სოფელ ხორნაბუჯის გამგებელი ტარიელ ღარიბაშვილი, ლიბერთი ბანკის ფილიალის დირექტორი ნანა ტოკლიკიშვილი და სხვ.

ანსამბლ „იმედის“ მიერ წამოწყებული ამ საქველმოქმედო საღამოს მხარდასაჭერად დედაქალაქიდან ჩამოსულები იყვნენ და ღონისძიება მიჰყავდათ საქართველოს დამსახურებულ მსახიობსა და მომღერალს-ნუგზარ კვაშალს და კულტურის სამინისტროს წარმომადგენელს ნინო გელაშვილს.

„ორი ჯუჯას“ მონაწილე მსახიობის დანახვამ სცენაზე პატარები გაახარა და გააოცა. ტექნიკური ხარვეზების მიუხედავად, რაც ელექტროენერჯის მოულოდნელმა გათიშვამ გამოიწვია, დარბაზში მსახიობსა და ბავშვებს შორის ნამდვილი სანახაობა გაიმართა. ბატონმა ნუგზარმა აღფრთოვანება ვერ დაფარა ანსამბლის მონაწილეების მიმართ, რომლებსაც ასეთ რთულ პირობებში უხდებოდათ კულისებში ფორმების გამოცვლა სიცივის გამო და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში მათ აუცილებლად გაუმჯობესდებათ პირობები. მან სიამაყით აღნიშნა, რომ ჩვენი რაიონი ღირსეული რაიონია საქართველოში, რომ ქვეყნის მომავალი პრემიერი დედოფლისწყაროელია, რომ ფიროსმანის სამშობლოა და რომ, დროა, ეშველოს და მიეხედოს ყველაფერს.

დაახ, საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში, აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე დედოფლისწყარო, ათეული წლების მანძილზე ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიტოვებული,

არასოდეს დაცემულა სულიერად, ის ყოველთვის ამაყად იდგა ფეხზე და ერთგულად ემსახურებოდა ჩვენს სამშობლოს.

ქალაქი ხარაზშილი



ძლიერი იმუნიტეტი რომ გვქონდეს

ზამთარი ახლოვდება და ვირუსებიც გააქტიურებას იწყებენ. ამ დროს მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, როგორ უნდა ავივალლოთ იმუნიტეტი, რომ ვირუსებს მოვერიოთ.

ყოველდღე ორგანიზმში წარმოიქმნება 12 მილიარდი ახალი უჯრედი, მათგან 80 მილიონი - მუტანტი უჯრედი. მათი სწრაფად აღმოჩენა და მოსპობა ევალება იმუნურ სისტემას. გარდა ამისა, ის იძულებულია, მოიგერიოს შინაგანი აგრესორები - ვირუსები, ბაქტერიები და სხვა უცხო აგენტები. განსაკუთრებით დიდი შრომა უწევს მას მწვავე რესპირატორული დაავადებების დროს. ძლიერ იმუნიტეტს შეუძლია გაუმკლავდეს ამ სიძნელეებს, მაგრამ თუ ის დაძაბუნებულია სტრესებით, მაგნი ჩვევებით, ქრონიკული დაავადებებით, მისი დამცველი შესაძლებლობებიც მცირდება, სუსტდება.

სისუსტე, სწრაფი დაღლილობა, მესხიერების დაქვეითება, ცუდი გუნება-განწყობილება - მიიჩნევენ, რომ ამ პრობლემების მიზეზი დაბალი იმუნიტეტი და იწყებენ მის სტიმულირებას ნამლებით.

თუმცა ექიმები ზოგჯერ თავს იკავებენ ამ ზომებისგან და აი, რატომ.

ერთი, რომ სისუსტე და სხვა სეზონური უგუნებობა ყოველთვის არ არის დაკავშირებული იმუნიტეტის დაქვეითებასთან. მათ შეიძლება ინვევდეს დეპრესია, ქრონიკული ინფექციები და ვიტამინების ბანალური დეფიციტი. ამ მიზეზებს ადგენს თერაპევტი.

მეორე - იმუნომოდულატორების უკონტროლოდ მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგები, მაგალითად, აუტოიმუნური დაავადებები (ორგანიზმი იწყებს თავისი ქსოვილის აღქმას, როგორც უცხო და გამოიმუშავებს ანტისხეულებს). ამიტომაც იმუნომოდულატორების მიღებას უნდა აკონტროლებდეს ექიმი.

იმუნიტეტის შემწეების მიზეზს იძლევა ხშირი გაცივება (წელიწადში 5-ჯერ), ხანგრძლივად სუბფებრილური

(37-37,5 0ც), ტემპერატურის ანევა, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობის დარღვევა. ამ შემთხვევაში საჭიროა მიმართოთ იმუნოლოგს, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა დონეზეა იმუნიტეტის დამცველი სისტემა და შეარჩევს აუცილებელ პრეპარატებს.

იმუნიტეტს ყველაზე საიმედოდ იცავს არა წამალი, არამედ ჯანმრთელი ცხოვრების წესი. შეეცადეთ, სწორად იკვებოთ (იმუნიტეტისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა A, C და E ვიტამინები, რკინა და თუთია). ბევრი ისიერნეთ ჰაერზე, იმოძრავეთ, გამოიძინეთ, უარი თქვით მაგნი ჩვევებზე, თავი აარიდეთ სტრესებს. გაცივების სეზონში შეიძლება მიიღოთ პოლივიტამინები, სხვადასხვა მცენარეებზე დამზადებული საშუალებები (მაგალითად, ელეთეროკოკის, ლიმონურას, ექინაცეასი). თუმცა, უკეთესია წინასწარ მოეთათბიროთ ექიმს.



ქართველი მხატვრის ნამუშევრები „სოტბის“ აუქციონზე



თანამედროვე ქართველი მხატვრის ნამუშევარი მსოფლიოს დიდ სააუქციონო სახლში იყიდება. ტიმჩენკოს არყის ხეებმა ლონდონში ბონემის აუქციონის შემდეგ ინგლისში დაიდო ბიზნა.

მანამდე ამ ნახატს ერთმანეთს ინგლისელი და რუსი მსურველი ეცილებოდნენ. საბოლოოდ ტიმჩენკოს ნამუშევარი ინგლისელმა 10 000 ფუნტ სტერლინგად შეიძინა. მხატვარი ამჯერად ახალ ნამუშევრებზე მუშაობს და კვლავ ლონდონის გამოფენისთვის ემზადება. მან შემოთავაზება ორი ცნობილი გალერეიდან უკვე მიიღო. როგორც ცნობილი გახდა ოლეგ ტიმჩენკოს ნახატებით სხვა აუქციონებიც დაინტერესდნენ.

ლონდონური გამოფენის შემდეგ კი რამდენიმე ნახატი „სოტბის“ აუქციონზე გავა. მხატვარი გამოფენისთვის არყის ხის ტყის ბინადრებს ხატავს... მას უკვე 10 ნახატი აქვს მზად. ტყის სერია შვედეთში ფერმი სრულდება. ლონდონამდე ნახატები საქართველოში გალერეა „გამრეკელში“ (ინგოროყვას 14) გამოიფინება.

ოლეგ ტიმჩენკო: „ჩემთვის ეს ძალიან დიდი სიხარული და სიურპრიზი იყო. მანამდე ვიცოდი, რომ აუქციონზე უნდა გასულიყო ჩემი ნახატები, მაგრამ გაყიდვა ნამდვილად სიურპრიზი იყო. მე თბილისში ვიყავი აუქციონის დროს და არ ვიცოდი იქ რა ხდებოდა. მანამდე კი, როდესაც კატალოგი ვნახე, მივხვდი, რომ ძალიან სერიოზულ ამბავში მოხვდები. საკმაოდ ცნობილი მხატვრების გვერდით ყოფნა ჩემთვის საამაყო იყო. და ამ კატალოგსა და აუქციონზე მოხვედრა გამართლებად ჩავთვალე. მერე კი ხათუნა მელიქიშვილმა გამახარა. ამაზე არც მიფიქრია, არც მინერვიულია, მაგრამ ძალიან გამიხარდა, რომ გაიყიდა, მაშინ მივხვდი, რომ რალაც ძალიან სერიოზული მოხდა“.

საქართველოში, გალერისტი: „ამ ყველაფერს თავიდან დიდი მოსამზადებელი პერიოდი და დიდი ენერგია დასჭირდა. ვინერვიულე კიდევ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ახლა კი დაინტერესება ძალიან დიდია. აუქციონი კვლავ დაგვიკავშირდა და სხვა ნამუშევრების გატანაც შემოგვთავაზა. ახლა უკვე მოითხოვენ, რომ აუქციონზე გავიდეს სამი ტილო. ასევე ამერიკაშიც დაინტერესებულია „კრისტის“ აუქციონი, რომ გავიტანოთ ოლეგის ტილო. ასეთი შემთხვევებით ენევა საერთოდ მხატვარს ფასი. ამიტომაც დაინტერესდნენ სხვა აუქციონებიც“.

ულოცავენ! მარინა და ბარილ ღარიბაშვილებს, მაია და თამაზ თამაზაშვილებს!

გილოცავთ თქვენი შვილის - ირაკლის პრემიერ მინისტრად დანიშვნას, ვუსურვებთ მას ჯანმთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, სიკეთეს და შემდგომ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის გამთლიანების საქმეში.

ღმერთი ფარავდეს მას და მის ოჯახს.

პატივისცემით, ღარიბაშვილები.

კაა ჯავახიშვილს! ალექსი ბაჩილინს!

ხელოვნების სკოლის თანამშრომლები გულითადად გილოცავთ ოჯახის შექმნას.

გისურვებთ ბედნიერებას და აკვანთა სიმრავლეს. ღმერთმა დაგლოცოთ.

„დედოფლისწყაროს საათი“
 ილია მარტყოფლიშვილთან ერთად
 დახვეუთ **პიხეპიხე თეხში** სტუდიაში
0322 388-105
 განმეორებით 00:30

კვირა 17:30

გომეზენა „ობიექტივი“

ამინდი		დედოფლისწყარო											
ორშაბათი 18.11	სამშაბათი 19.11	ოთხშაბათი 20.11	ხუთშაბათი 21.11	პარასკევი 22.11	შაბათი 23.11	კვირა 24.11	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
☀	☀	☁	☁	☁	☁	☀	☀	☁	☁	☀	☀	☀	☁
6°	5°	6°	4°	5°	4°	5°	4°	5°	4°	5°	4°	6°	5°

გამომცემელი შპს „შირაჟი“
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
 რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
 წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: **ლალი მახრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი** (ჟურნალისტები); **ელზა ხარაშვილი** (სტილისტ-მწერელი); **ნათელა გოსტაშვილი** (ბუღალტერი); **ნინო ჯანაშვილი** (ფოტო-მწერელი); **მზია ქანდაძე** (დისტრიბუტორი); **ზურაბ ბუნაშვილი** (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
 გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაჟის“ კომპიუტერულ პაზაზე.
 ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს. „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: **ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 551 25-17-44 (რედაქტორი)**

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.